ტვინების ბრძოლა
რეგიონული პირველობა | შემოდგომა 2023
U12 (IX, X, XI, XII კლასები)

1. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]

დარიგებულ მასალაზე გამოსახულია საფეხბურთო ფორმაცია **4-3-2-1**. საფეხბურთო ფორმაცია **4-3-2-1-ს** ზოგჯერ უწოდებენ ხოლმე **იქსს**. **ბრაზილიაში** იქსის **დადგმა თბილ ამინდებში** უწევთ, ამიტომ მის ირგვლივ ხშირად **ბამბას** ათავსებენ. დაასახელეთ იქსი ორი სიტყვით.

პასუხი: ნაძვის ხე
კომენტარი: მწვანე ფერის მაისურები მასალისთვის სპეციალურად შევარჩიეთ. ბრაზილიაში დეკემბერ-იანვრის პერიოდი ზაფხულს ემთხვევა, რის გამოც იქ ნაძვის ხის მოსართავად ხშირად იყენებენ ბამბას თოვლის ნაცვლად. ამ შეკითხვით გავხსენით საახალწლო სეზონი.

2. 6-ქულიანი შეკითხვა
მოისმინეთ **მეორე** შეკითხვა. ბიზანტიელები თავიანთ **მეფეებს** მოიხსენიებდნენ ბერძნული სიტყვით "**ბასილეუს**". ერთ-ერთი ბიზანტიური დინასტიის - პალეოლოგოსების დევიზი იყო "**მეფეთა მეფე**, რომელიც **მეფობს მეფეებზე**". ამიტომ პალეოლოგოსების საგვარეულო **დროშაზე** გამოსახულია **ოთხი ალფა**. დაასახელეთ, რა შევცვალეთ სიტყვით "**ალფა**".

პასუხი: ბეტა
ჩათვლა: ბ
კომენტარი: როგორც აღვნიშნეთ, ბერძნულ ენაზე სიტყვა "მეფე" ჟღერდა, როგორც "ბასილეუს". პალეოლოგოსების დინასტიის დევიზში სიტყვა "მეფე" ოთხჯერ იყო ნახსენები, ამიტომ მათ

დროშაზე გამოსახულია არა ოთხი “ალფა”, არამედ ოთხი “ბეტა”. ალფა ბერძნული ანბანის პირველი ასოა, ბეტა კი - მეორე. კითხვის ნომერი დამატებითი მინიშნება იყო მეორე ასოზე.

3. 7-ქულიანი შეკითხვა
*[მითითება წამყვანს: ეს შეკითხვა არის დუპლეტი. მონაწილეებს განუმარტეთ, რომ ჯერ გაჟღერდება პირველი შეკითხვა, რომელზეც მოსაფიქრებლად ექნებათ **45** წამი, შემდეგ გაჟღერდება მეორე შეკითხვა და მასზე მოსაფიქრებლადაც ექნებათ **45** წამი. გუნდი **ორივე შეკითხვის ვერსიას** წერს **ერთსა და იმავე ფურცელზე** და აბარებს **90** წამის ბოლოს. გუნდი ქულებს მიიღებს **მხოლოდ ორივე სწორი პასუხის** შემთხვევაში.]*

დუპლეტი.
1) ქრისტეფორე კოლუმბმა ერთ კუნძულზე მცხოვრები **არაცივილიზებული** ტომი **ღმერთების მოახლოებული მრისხანებით** დააშინა. საქმე ისაა, რომ კოლუმბი კარგად ერკვეოდა **ასტრონომიაში** და იცოდა, რომ იმავე **ღამეს** მოხდებოდა **იქსი**. დაასახელეთ იქსი **ორი სიტყვით**.

2) ცნობილი **გადმოცემის** თანახმად, იგრეკი **მეოთხე საუკუნეში** ერთი **სამეფოს გაქრისტიანებას** უკავშირდება. დაასახელეთ იგრეკი **ორი სიტყვით**.

პასუხი: მთვარის დაბნელება; მზის დაბნელება
კომენტარი: კოლუმბმა იცოდა, რომ იმ ღამით მთვარის დაბნელება დაიწყებოდა, ამიტომ წინასწარ დააშინა ტომი, რომ ცაზე წითელი მთვარე გამოჩნდებოდა, და მათი მორჩილება ამით მოიპოვა. მირიან მეფისა და ქართლის გაქრისტიანების შესახებ გადმოცემაში ვხვდებით მზის დაბნელებას.

4. 5-ქულიანი შეკითხვა
ერთ-ერთ ვებ-გვერდზე იქსის **ინგრედიენტებს** შორის დასახელებულია **ციტრუსები**, **ქიშმიში**, **შაქარი**, **წყალი** და სხვა. იქსი ხასიათდება **თაფლის** მსგავსი **ოქროსფერი** შეფერილობით და მსუბუქად **მოტკბო გემოთი**. დაწერეთ **1957 წლის ნაწარმოების** სახელი, რომელიც შევცვალეთ **იქსით**.

პასუხი: ბაბუაწვერას ღვინო
კომენტარი: სხვა ინგრედიენტებთან ერთად, რა თქმა უნდა, ბაბუაწვერაც გამოიყენება. “ბაბუაწვერას ღვინო” რეი ბრედბერის 1957 წლის ნაწარმოებია.

5. 6-ქულიანი შეკითხვა
გადმოცემის თანახმად, **წმინდა მარინუსი რომაელებს ზღვის** გავლით გაექცა. იმისთვის, რომ მარტო დარჩენილიყო და არავის შეეწუხებინა, მარინუსი **მაღალ გორაკზე** დასახლდა. დაასახელეთ **ქვეყანა**, რომელიც ამ გორაკის **გარშემო** შეიქმნა.

პასუხი: სან მარინო
კომენტარი: “წმინდა მარინუსი” იტალიურად ისევე ითარგმნება, როგორც ამ ქვეყნის სახელი. ისტორიის განმავლობაში იმპერიებით გარშემორტყმულმა სან მარინომ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა.

6. 7-ქულიანი შეკითხვა

წინდახედული მხატვარი ხუან გრისი ხუმრობდა, რომ ის საკუთარ ძაღლსაც კი [გამოტოვებულია **ორი სიტყვა**] **ეფერება**. **ქირურგიაში** დასახელოვნებლად **დამწყებ ექიმებს** ურჩევენ, [გამოტოვებულია **იგივე ორი სიტყვა**] **გაიხეხონ კბილები**. აღადგინეთ გამოტოვებული ორი სიტყვა.

პასუხი: მარცხენა ხელით
კომენტარი: წინდახედული ხუან გრისი ფიქრობდა, რომ თუ ძაღლი მას უკბენდა მარცხენა ხელზე, მარჯვენა ხელით მაინც განაგრძობდა ხატვას. ქირურგებს ორივე ხელის თანაბარი წარმატებით ფლობა სჭირდებათ, ამიტომაც დამწყებ ექიმებს ურჩევენ, არადომინანტური ხელით გაიხეხონ კბილები.

7. 5-ქულიანი შეკითხვა
ჰანიბალმა კანას ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ **ჯარისკაცებს უბრძანა**, რომაელებისთვის **ძვირფასი ლითონები ჩამოერთმიათ**. აღმოჩნდა, რომ ჩამორთმეულ **ნადავლში** ყველაზე მეტად ჭარბობდა ერთი **კონკრეტული სამკაული**. ამ ფაქტის კომენტირებისას **ჰანიბალი** მოიხსენიეს **ისევე**, როგორც ეწოდება ერთ **საკულტო** ტრილოგიას. დაასახელეთ ეს ტრილოგია ორი სიტყვით.

პასუხი: ბეჭდების მბრძანებელი
კომენტარი: ჰანიბალის ჯარისკაცებმა რომაელებისგან წაიღეს ყელსაბამები, სამაჯურები და სხვა ძვირფასი ლითონების შემცველი ნივთები. თუმცა, ყველაზე მეტად ჭარბობდა ძვირფასი ბეჭდები. ამ ფაქტის კომენტირებისას აღნიშნეს, რომ ჰანიბალი გახდა ბეჭდების მბრძანებელი.

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეულ მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოთამაშე, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს კაპიტანი.]
ბავშვებში **რძის** სმის პოპულარიზებისთვის **იაპონიაში** რძის ბოთლებზე **თეთრი საღებავებით** დაიწყეს **იქსების ხატვა**. იქსი იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც **ამერიკაში იაპონური ენის შესწავლა მოთხოვნადი** გახდა. დაასახელეთ იქსი ერთი სიტყვით, რომელშიც **ყველა ხმოვანი ერთნაირია**.

პასუხი: მანგა
კომენტარი: თეთრი საღებავით ხატვა განაპირობებდა იმას, რომ ბავშვები მეტად მოტივირებული იყვნენ რძის დასალევად. რძის ბოთლის დაცლის შედეგად ბავშვს შეეძლო, სრულად წაეკითხა თეთრად დახატული მანგა. ანიმეების პოპულარიზების შედეგად მეტ ამერიკელს გაუჩნდა სურვილი, იაპონური ესწავლა და ორიგინალში წაეკითხა მანგა.

9. 7-ქულიანი შეკითხვა
[მითითება წამყვანს: მონაწილეებს ჰკითხეთ, იციან თუ არა, რა არის ნეოლოგიზმი. შემდეგ განუმარტეთ, რომ ნეოლოგიზმი ნიშნავს ახლად გამოჩენილ სიტყვას.]

[დასარიგებელი მასალა

Never has a man influenced physics so profoundly as Niels Bohr in the early 1900's. Going back to this time period, little was known about atomic structure; Bohr set out to end the obscurity of physics. However, things didn't come easy for Bohr. He had to give up most of his life for physics and research of many hypothesis. But, this is why you and I have even heard of the quantum theory and atomic structures. Bohr came up with his quantum theory while studying at Cambridge. Bohr was a skeptic and he]

თქვენ წინაშეა ამონარიდი ერთი ამერიკელი სკოლის მოსწავლის ფიზიკის დავალებიდან. ამ მოსწავლემ გარკვეულწილად **დაამტკიცა**, რომ **ამის გაკეთება არამხოლოდ ინტერნეტშია** შესაძლებელი. ერთი **ინგლისური ნეოლოგიზმის** გამოყენებით დაასახელეთ, თუ **რის გაკეთებაზეა** საუბარი.

პასუხი: რიკროლი
კომენტარი: რიკროლი ცნობილი ინტერნეტ მიმია, რომელიც გულისხმობს ადამიანების სპეციალურად არასწორ ბმულზე გადაყვანას, რომელშიც დაპირებული შინაარსის ნაცვლად ჩნდება რიკ ესტლის ცნობილი სიმღერა Never gonna give you up. თუ მასალაზე გამოსახული ტექსტის თითოეულ ხაზზე პირველ სიტიყვებს დააკვირდებით, სიმღერის სახელს ამოიკითხავთ.

10. 5-ქულიანი შეკითხვა
შეკითხვაში **იქსით** შეცვლილია **ერთი** სიტყვა.
სიმბოლურია, რომ რეი ბრედბერის წიგნი "**ბაბუაწვერას ღვინო**" **იქსთან ერთად სრულდება**. ფენტეზი ჟანრის წიგნების სერიაში "**ყინულისა და ცეცხლის სიმღერა**" იქსის **დასრულებასთან** ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება ერთ-ერთი **საგვარეულოს გამონათქვამი**. **ორი ქართული** ან **სამი ინგლისური** სიტყვით დაასახელეთ ეს გამონათქვამი.

პასუხი: ზამთარი მოდის
ჩათვლა: Winter is coming
კომენტარი: სიმბოლურია, რომ "ბაბუაწვერას ღვინო", რომლის მოქმედებაც მთლიანი ზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობს, 31 აგვისტოს, ზაფხულის დამთავრებასთან ერთად სრულდება. "ყინულისა და ცეცხლის სიმღერის" სამყაროში სულ ორი ხანგრძლივი წელიწადის დრო არსებობს, მშვიდობიანი ზაფხული და მკაცრი ზამთარი, ამიტომ ზაფხულის დასასრულის მოახლოებისთანავე აქტუალური ხდება სტარკების საგვარეულო თქმა: "ზამთარი მოდის".

11. 6-ქულიანი შეკითხვა
ერთ სერიალში პერსონაჟი **დაფასთან** გამოიძახეს, რათა დაწეროს, რას უდრის **5+5 [ხუთს პლუს ხუთი]**. **კლასელი** მას **მარტივი ჟესტით უკარნახებს**, თუმცა პერსონაჟი დაფაზე დაწერს **რვიანს**. შეკითხვის ტექსტის ერთ სიტყვაში ჩვენ **ოთხი ასო გამოვტოვეთ**. აღადგინეთ სიტყვა თავდაპირველი ფორმით.

პასუხი: მულტსერიალში
კომენტარი: მულტფილმებში პერსონაჟებს ხშირად ოთხი თითით ხატავენ. კლასელი დაფასთან გასულ მეგობარს ორივე ხელის ყველა თითის აწევით უკარნახებს, მაგრამ მას არა ათი, არამედ რვა თითი აქვს, ამიტომ დაფაზე არასწორი პასუხი იწერება.

12. 7-ქულიანი შეკითხვა

შეკითხვაში **იქსით** შეცვლილია **ერთი** სიტყვა.
2010 წელს **ბრიტანული პლაჟების** ზედამხედველებს მოუწიათ საგანგებო განცხადების გაკეთება, რომ სანაპიროზე **იქსების დატოვება** დიდ საფრთხეს უქმნის **წყლის ბინადრებს**. საქმე ისაა, რომ ამავე წელს **კინოეკრანებზე** მაყურებელმა იხილა ერთი **პერსონაჟის სიკვდილი**, რის შემდეგაც ფანებმა **სანაპიროებზე იქსების დატოვება** დაიწყეს. **თავისუფლად** შეგიძლიათ, დაასახელოთ ეს პერსონაჟი **ოთხი ასოსგან** შემდგარი **სახელით**.

პასუხი: დობი
კომენტარი: 2010 წელს პოტერიადას ფანებმა ბრიტანულ სანაპიროებზე წინდების დატოვება დაიწყეს, რადგან ამავე წელს სიკვდილის საჩუქრების პირველ ნაწილში სანაპიროს მახლობლად დაილუპა თავისუფალი ელფი დობი. პლაჟების ზედამხედველებმა განაცხადეს, რომ წინდა ბიოდეგრადირებადი არაა, ამიტომ მისი დატოვება წყლის ცხოველებს საფრთხეს უქმნის. "თავისუფლად დაასახელეთ" დამატებით მინიშნებასა წარმოადგენდა თავისუფალ ელფ დობიზე.

13. 5-ქულიანი შეკითხვა
არდენგო სოფიჩის ზოგიერთი ლექსი შეიცავს **ალუზიებს პოპულარულ კულტურაზე**. მისი ერთ-ერთი ლექსის პერსონაჟი, სახელად **სინდერი**, **წვეულებაზე გვიანობამდე შემორჩება**. უეცრად ის **შენიშნავს**, რომ მისი **მანქანა...** დაასრულეთ წინადადება ორი სიტყვით, რომლებიც ერთსა და იმავე ასოზე იწყება.

პასუხი: გოგრად გადაიქცა
კომენტარი: არდენგო სოფიჩის ლექსის მთავარი გმირი წარმოადგენს ალუზიას კონკიაზე. ამის მისახვედრად მისი სახელი - სინდერი დაგეხმარებოდათ, რომელიც Cinderella-ს წააგავს. სინდერი წვეულებაზე გვიანობამდე გაჩერდება, უეცრად კი შენიშნავს, რომ მისი მანქანა იქცა გოგრად.

14. 6-ქულიანი შეკითხვა
გასული საუკუნის 80-იან წლებში ხშირად იხსენებდნენ **ვანგას** წინასწარმეტყველებას: "აკაშკაშდება სინათლე **პანდორას ყუთიდან**". ამ შემთხვევაში **იქსში** მდებარე **ობიექტს პანდორას ყუთს** ადარებდნენ. **მინისერიალი**, სახელად "**იქსი**", **2019 წელს** გამოვიდა. დაასახელეთ **ქალაქი**, რომელიც შევცვალეთ იქსით.

პასუხი: ჩერნობილი
კომენტარი: იხსენებდნენ რა ვანგას წინასწარმეტყველებას, ხშირად ვარაუდობდნენ, რომ სინათლე, რომელიც პანდორას ყუთიდან ამოდის, ჩერნობილის ატომური რეაქტორის აფეთქება იყო. HBO-ს მინისერიალი "ჩერნობილი" 2019 წელს გამოვიდა.

15. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთ ნაწარმოებში აღწერილია პლანეტა, რომლის ატმოსფერო ელექტროობითაა გაჯერებული. ნაწარმოებში მოხსენიებულ ხეს, რომელიც ციდან მიღებული ელექტროენერგიით საზრდოობს, ჰქვია სტელა. წინა წინადადების ერთ სიტყვაში ჩვენ ასოები გადავანაცვლეთ. დაწერეთ ეს სიტყვა თავდაპირველი ფორმით.

პასუხი: ტესლა

კომენტარი: დენ სიმონსის ნაწარმოებში ხეს, რომელიც ელექტროენერგიით იკვებება, ტესლა ჰქვია. ნიკოლა ტესლა სახელგანთქმული ფიზიკოსია ელექტრო-რადიოტექნიკის სფეროში. სწორედ მის პატივსაცემად ეწოდება ელექტრომანქანების ცნობილ ბრენდსაც.